მოხსენებითი ბარათი
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ორი კვარტლის ანგარიშის შესახებ

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების და ნაშთის ცვლილების გეგმა, აგრეთვე გადასახდელების გეგმა მიმდინარე წლის 1 ივლისის მდგომარეობით განისაზღვრა **56 927,492** ლარით, ანუ დამტკიცებულ **19 853,700** ლართან შედარებით **37 073,792** ლარით (187 %) გაიზარდა.

ბიუჯეტში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან დაემატა **11 234,093** ლარი, მ.შ.: 1) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის მიერ 17 იანვრის N75 განკარგულებით **4 600,491** ლარი; 2) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 15 თებერვლის №277 განკარგულებით **668,000** ლარი; 3) საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის 14 იანვრის №51 განკარგულებით მიზნობრივი ტრანსფერი **289,024** ლარი; 4) 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად 2021 წლის 16 აგვისტოს №1419 განკარგულები შევიდა ცვლილება და დაფინანსდა პროექტები: „მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ხელმისაწვდომობის გაზრდა მისასვლელი გზის რეაბილიტაციისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობით“ **1 563,906** ლარით, „კოდას საკურორტო ზონის განვითარების ხელშეწყობა ტურისტული და ბიზნესის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობით“ **895,948** ლარით; 5) საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, 2021 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე 2021 წლის 27 დეკემბრის №2374 განკარგულებით, კაპიტალური გრანტი **400,000** ლარი; 6) სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით 5 აპრილის №604 და 19 აპრილის №718 განკარგულებებით **2 297,000** ლარი; 7) მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 25 მაისის №926 განკარგულებით **519,724** ლარი; საკასო შემოსავლების მიხედვით გაიზარდა საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე არაფინანსური აქტივების კლების მუხლი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან შემოსული **8 000,000** ლარით, წინა წლის

ნაშთიდან განაწილდა სულ **17 839,699** ლარი, მ.შ. სახელმწიფო ფონდებიდან **2 486,104** ლარი, საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე **15 353,595** ლარი. ნაშთი წლის დასაწყისისთვის შეადგენდა 17 843,320 ლარს, მ.წ. 1 ივლისის მდგომარეობით შეადგინა 27 536,358 ლარი.

2022 წლის ბიუჯეტის ორი კვარტლის საშემოსავლო ნაწილი შესრულდა 134 %–ით (გეგმა 18 173,278 ლარი, ფაქტი 24 397,945 ლარი).

ბიუჯეტის **შემოსავლების** (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) სახით შემოსულია 15 613,305 ლარი, გეგმის 16 216,654 ლარის 96 % შეადგენს.

გადასახდების სახით შემოსულია 9 524,555 ლარი, გეგმის 8 877,200 ლარის 107 %, აქედან ქონების გადასახადი შეადგენს 2 237,839 ლარს, გეგმის 1 627,400 ლარის 138 %-ს; მათ შორის: ფიზიკურ პირთა ქონების 756 ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 158,013 ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 50,228 ლარი, საწარმოთა ქონების(გარდა მიწისა) 2 028,842 ლარი; საქონელსა და მომსახურებაზე ანუ დამატებითი ღირებულების გადასახადი შემოვიდა 7 286,716 ლარი გეგმის 7 249,800 ლარის 101 %;

გრანტების სახით მიღებულია 3 781,185 ლარი, გეგმის 6 447,454 ლარის 59 % მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 333,778 ლარი, აქედან 211.378 ლარი მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის ხარჯია; რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კაპიტალური ტრანსფერის სახით მიღებულია 3 447,407 ლარი;

სხვა შემოსავლების სახით შემოსულია 2 307,565 ლარი, რაც გეგმის 892,000 ლარის 259 %-ია, მათ შორის: 1) შემოსავალი პროცენტებიდან 836,919 ლარი გეგმის 300,000 ლარის 279 %; 2) რენტა 347,379 ლარი, გეგმის 285,000 ლარის 122 %, აქედან: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შემოსულია 277,235 ლარი, შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გაცემიდან 70,144 ლარი; 3) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია 56,389 ლარი გეგმის 47,000 ლარის 120 %, აქედან: ა)ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები 54,152 ლარი გეგმის 41,000 ლარის 132 %, მ.შ.: დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის 27,066 ლარი, მშენებლობის ნებართვაზე 26,086 ლარი, სამხედრო სავალდებულო გადავადების 1,000 ლარი; ბ) არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება(შემოსავალი შენობების და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან) 2,237 ლარი გეგმის 6,000 ლარის 37 %; 4) ჯარიმები, სანქციები და საურავები 351,998 ლარი გეგმის 260,000 ლარის 135 %; 5) შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 714,879 ლარი;

არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულია 8 784,640 ლარი, რაც გეგმის 1 956,624 ლარის 449 %-ია, ეს არის შემოსავალი გაყიდვებიდან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფო არასაცხოვრებელი შენობების 44,268 ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწის) 8 740,372 ლარი.

საგასავლო ნაწილი შესრულდა 68 %–ით (გეგმა 21 557,038 ლარი, ფაქტი 14 704,906 ლარი); მათ შორის, დაფინანსების მიხედვით: საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე შესრულდა 80 %-ით (გეგმა 12 986,651 ლარი, ფაქტი 10 452,012 ლარი); სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერი შესრულდა 78 %-ით (გეგმა

177,600 ლარი, ფაქტი 138,860 ლარი); სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი შესრულდა 49 %-ით (გეგმა 8 392,787 ლარი, ფაქტი 4 114,034 ლარი);

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით: შრომის ანაზღაურება 1 723,295 ლარი, გეგმის 1 812,440 ლარის 95 %; საქონელი და მომსახურება 2 107,919 ლარი, გეგმის 2 215,488 ლარის 95 %; პროცენტი 13,937 ლარი, გეგმის 17,000 ლარის 82 %; სუბსიდიები 3 483,625 ლარი, გეგმის 3 896,621 ლარის 89 %; გრანტები 110,723 ლარი, გეგმის 100 %; სოციალური უზრუნველყოფა 513,573 ლარი, გეგმის 523,594 ლარის 98 %; სხვა ხარჯები 692,666 ლარი, გეგმის 996,990 ლარის 69 %; არაფინანსური აქტივების ზრდა 6 032,533ლარი, გეგმის 11 957,179 ლარის 50 %; ვალდებულებების კლება 26,635 ლარი, გეგმის 27,000 ლარის 99 %.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება ასეთია: **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა შეადგინა სულ** 2 564,528 ლარი, გეგმის 2 737,224 ლარის 94 %; მ.შ. საკრებულოს 603,829 ლარი, გეგმის 632,154 ლარის 96 %; მერიის 1 831,727 ლარი, გეგმის 1 939,527 ლარის 94 %; სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახურის 88,400 ლარი, გეგმის 125,000 ლარის 71 %; მგფ-ს სა სხვა დავალიანებების დაფარვა 40,572 ლარი, გეგმის 44,000 ლარის 92 %;

ინფრასტრუქტურის განვითარების ხარჯებმა შეადგინა სულ 6 601,061 ლარი, გეგმის 11 244,792 ლარის 59 %, მათ შორის:

1) **საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება** 3 862,893 ლარი, გეგმის 7 230,956 ლარის 53 %, აქედან გზების მიმდინარე შეკეთება 133,035 ლარი, გეგმის 163,859 ლარის 81 %; შ.პ.ს. „საგარეჯო“ 176,448 ლარი, გეგმის 192,500 ლარის 92 %; ახალი გზების მშენებლობა 3 549,390 ლარი, გეგმის 6 869,639 ლარის 52 %; საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება 4,020 ლარი გეგმის 4,958 ლარის 81 %;

2) **წყლის სისტემების განვითარება** 1 113,872 ლარი, გეგმის 1 501,118 ლარის 74 %; აქედან სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია 881,560 ლარი, გეგმის 1 249,168 ლარის 71 %; სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია (ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრი“) 232,312 ლარი, გეგმის 252,000 ლარის 92 %;

3) **გარე განათება** 1 024,204 ლარი, გეგმის 1 076,063 ლარის 95 %, მათ შორის: გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია 667,004 ლარი, გეგმის 674,000 ლარის 99 %, გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა 357,200 ლარი, გეგმის 402,063 ლარის 89 %;

4)**ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია** 548,793 ლარი გეგმის 739,441 ლარის 74 %;

5)**კეთილმოწყობა** 1,685 ლარი, გეგმის 39,857 ლარის 4 %, ეს არის საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაციის ხარჯი გეგმის 13,667 ლარის 12 %; შენობების ფასადების რეაბილიტაცია გეგმა 26,190 ლარი;

6) **სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** 49,614 ლარი გეგმის 72,272 ლარის 69 %;

7) **სოფლის მხარდაჭერის პროგრამა** გეგმა 585,085 ლარი.

დასუფთავება და გარემოს დაცვის ხარჯებმა შეადგინა სულ 930,007 ლარი გეგმის 1 362,653 ლარის 68 %, მათ შორის:

1)დასუფთავება და ნარჩენების გატანა 422,007 ლარი გეგმის 434,723 ლარის 97 %;

2) შ.პ.ს. ”სუფთა მუნიციპალიტეტი 2018” 508,000 ლარი გეგმის 550,505 ლარის 92 %;

3) მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება გეგმა 377,425 ლარი;

განათლების ხარჯები დაფინანსებულია 2 524,262 ლარით გეგმის 3 732,643 ლარის, 68 %–ით; მათ შორის: 1) სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება (ა(ა)იპ „საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“) 1 390,125 ლარით გეგმის 1 624,075 ლარის 86 %;

2) სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა 773,240 ლარით გეგმის 1 643,598 ლარის 47 %;

3) ა(ა)იპ „საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების“ ხარჯებმა შეადგინა 65,336 ლარი გეგმის 71,500 ლარის 91 %;

4) სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში 3,560 ლარი გეგმის 4,556 ლარის 78 %;

5) საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა 292,001 ლარი გეგმის 388,914 ლარის 75 %;

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი დაფინასებულია 1 335,776 ლარით გეგმის 1 673,935 ლარის 80 %, აქედან,

1) **სპორტის განვითარების ხელშეწყობა** დაფინანსდა 797,060 ლარით გეგმის 1 009,361 ლარის 79 %, მათ შორის: ა(ა)იპ ”საგარეჯოს №105 კომპლექსური სასპორტო სკოლა“ 26,082 ლარით გეგმის 35,750 ლარის 73 %; ა(ა)იპ ’საგარეჯოს სპორტული გაერთიანება“ 255,645 ლარით გეგმის 267,500 ლარის 96 %; ა(ა)იპ რაგბის კლუბი“ვეფხვები“ 185,515 ლარით გეგმის 191,800 ლარის 97 %; შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბი საგარეჯოს გარეჯი“ 41,401 ლარით გეგმის 100 %;

სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა 37,191 ლარი გეგმის 40,914 ლარის 91 %; სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა 251,226 ლარი გეგმის 431,996 ლარის 58 %;

2)**კულტურის სფეროს განვითარება** დაფინანსდა 485,873 ლარით გეგმის 600,095 ლარის 81 %-ით, მათ შორის: ა(ა)იპ „საგარეჯოს ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლა“ 96,014 ლარით გეგმის 96,950 ლარის 99 %; ა(ა)იპ კულტურის ობიექტების გაერთიანება 298,187 ლარით გეგმის 346,750 ლარის 86 %; კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა 17,434 ლარით გეგმის 53,260 ლარის 33 %; კულტურული ღონისძიებები 74,238 ლარით გეგმის 103,135 ლარის 72 %;

3)**ახალგაზრდობის მხარდაჭერა** 33,842 ლარით გეგმის 42,604 ლარის 79 %;
4) **საგამომცემლო საქმიანობა** 19,001 ლარით გეგმის 21,875 ლარის 87 %.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა დაფინანსდა 749,272 ლარი გეგმის 801,659 ლარის 93 %, აქედან, **ჯანმრთელობის დაცვა** დაფინანსდა 58,784 ლარით გეგმის 78,901 ლარის 75 %, მათშორის:

1) საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა დაფინანსდა 55,884 ლარით გეგმის 70,900 ლარის 79 %;
2) სოფლის ამბულატორიების ხელშეწყობა და ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია დაფინანსდა 2,900 ლარით გეგმის 8,001 ლარის 36 %;

სოციალური დაცვა დაფინანსდა 690,488 ლარით გეგმის 722,758 ლარის 96 %, მათ შორის:
1)პირველ და მეორე ახალდაბადებული ბავშვიანი სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა 3,900 ლარით გეგმის 4,800 ლარის 81%, დახმარება გაეწია 13 ოჯახს;

2) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა 38,500 ლარით გეგმის 100 %, დახმარება გაეწია 96 ოჯახს;

3) ბავშვთა კვების პროგრამა 4,256 ლარით გეგმის 100 %, კვება დაუფინანსდათ ერთ წლამდე ასაკის 40 ბავშვს;

4) უდედმამო ბავშვების დახმარების პროგრამა 3,800 ლარით გეგმის 4,200 ლარის 90 % , დახმარება გაეწია 13 ბავშვს;

5) შშმ 18 წლამდე ბავშვთა დახმარების პროგრამა 20,450 ლარით გეგმის 21,900 ლარის 93 %, დახმარება გაეწია 82 ბავშვს;

6) შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა 14,235 ლარით გეგმის 16,372 ლარის 87 %, დაფინანსდა 6 ბენეფიციარის სარეაბილიტაციო კურსი, შშმ პირთა სარეაბილიტაციო ცენტრის ბენეფიციართათვის

განხორციელდა ტელევიზორის შესყიდვა და გადაცემა, აგრეთვე დაფინანსდა ცენტრის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის და ბენეფიციართა ტრანსპორტით მომსახურების ხარჯები;

7) მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლების დახმარების პროგრამა 2,800 ლარი გეგმის 4,000 ლარის 70 %, დახმარება გაეწია 14 ბენეფიციარს;

8) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა 115,521 ლარი გეგმის 116,227 ლარის 99 %(201 ბენეფიციარი);

9) მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა 88,502 ლარი გეგმის 100 % (250 ბენეფიციარი);

10) ონკოლოგიურ პაციენტთა დახმარების პროგრამა 110,986 ლარი გეგმის 100 % (201 ბენეფიციარი);

11) ბიკარბონატული ჰემოდიალიზი-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა 16,460 ლარი გეგმის 18,100 ლარის 91 %(32 ბენეფიაციარი);

12) ელექტრო ენერგიის და გაზის გადასახადის დაფინანსების პროგრამა 23,125 ლარი გეგმის 100 %(442 ბენეფიაციარი);

13) მოწყვლადი ჯგუფების გათბობის ხარჯით დახმარების პროგრამა 6,100 ლარი გეგმის 6,500 ლარის 94 % (122 ბენეფიციარი);

14) სოციალურად დაუცველი მოწყვლადი ჯგუფებისთვის საკვების გაცემა დღესასწაულებზე 69,959 ლარი გეგმის 71,709 ლარის 98 %, ეს არის სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტების შეძენის ხარჯი, გადაეცათ შობის და აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით 1000 ბენეფიციარს, ნოვრუზ ბაირამის დღესასწაულთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის სოციალურად დაუცველ 200 ბენეფიციარს;

15) მოსახლეობის ტრანსპორტირების პროგრამა 7,955 ლარი გეგმის 9,925 ლარის 80 %;

16) ხანდაზმულ (95 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა 1,600 ლარი გეგმის 2,000 ლარის 80 % (8 ბენეფიციარი);

17) უპატრონო და სოციალურად დაუცველი მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურეობის პროგრამა 5,700 ლარი გეგმის 6,000 ლარის 95 % (19 ბენეფიციარი);

18) სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ ფართებში მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის პროგრამა 750 ლარი გეგმის

100 %, გაიწმინდა ქ.საგარეჯოში კახეთის გზატკეცილი №19-ზე მდებარე საერთო საცხოვრებელი კორპუსის ეზოში არსებული სამი საკანალიზაციო ჭა;

19) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა 10,948 ლარი გეგმის 13,580 ლარის 81 % (21 ოჯახი);

20) უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება 126,792 ლარი გეგმის 142,300 ლარის 89 % (220 ბენეფიციარი);

21) ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა 1,500 ლარი გეგმის 2,300 ლარის 65 %, ფულადი დახმარება გაეწია დიდი სამამულო ომში მონაწილე 1 ვეტერანს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის და დამოუკიდებლობისთვის საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა 4 ოჯახს;

22) წითელი ჯვრის დაფინანსების პროგრამა 7,000 ლარი გეგმის 100 %;

23) სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის დაფინანსება 8,749 ლარი გეგმის 100 % (9 ბენეფიციარი);

24) მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა 900 ლარი გეგმის 100 %.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ორი კვარტლის ბიუჯეტით **სარეზერვო ფონდიდან** გამოიყო 252,325 ლარი სტიქიის (2022 წლის 14-15 იანვრის ძლიერი ქარი) შედეგად საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების კუთვნილი საცხოვრებელი სახლების სტიქიის მიერ დაზიანებული სახურავების მოწყობის სამუშაოებისთვის 48,091 ლარი; 2022 წლის 05 თბერვლის სტიქიის შედეგად (ძლიერი ქარი) დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის მიზნით 70,000 ლარი, დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღსადგენად საჭირო სამშენებლო მასალების შესასყიდად და მოსახლეობისთვის გადასაცემად 119,757 ლარი; უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად საკვები პროდუქტების შესყიდვა 10,000 ლარი; მოქალაქეების კუთვნილი საცხოვრებელი სახლების 2021 წლის სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავების მოწყობის სამუშაოებისთვის მომწოდებლებლის მიერ 2022 წელს წარმოდგენილ შესრულებულ სამუშაოებზე ასანაზღაურებელი თანხის გადახდის მიზნით 4,477 ლარი.

ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსავლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1 039,404 ლარი, შესრულდა 81 %-ით ანუ 841,256 ლარით, მ: შ:

დასახელება	საკუთარი სახსრების II კვარტლის გეგმა ნაშთის ჩათვლით	საკუთარი სახსრების II კვარტლის შესრულება	შესრულები ს %

ა.ი.პ. საგარეჯოს N105 კომპლექსური სასპორტო სკოლა	14,828	3,894	26
ა.ი.პ. საგრეჯოს სპორტული გაერთიანება	0,899	0,001	0
ა.ი.პ საგარეჯოს ჯ.ბურჯანაძის სახ.სამუსიკო სკოლა	11,361	10,731	94
ა.ი.პ კულტურის ობიექტების გაერთიანება	22,947	14,223	62
ა.ი.პ.საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	41,281	29,630	72
ა.ი.პ. რაგბის კლუბი ვეფხვები	135,541	90,577	67
შ.პ.ს.საფეხბურთო კლუბი საგარეჯოს გარეჯი	808,596	690,300	85
შ.პ.ს.საგარეჯო	2,285	1,022	45
შ.პ.ს.საინფორმაციო გაზეთი გარეჯის მაცნე	1,665	0,877	53
სულ	1039,404	841,256	81

პროექტის ავტორი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი ავთანდილ გულიკაშვილი

პროექტის წარმდგენი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, ბიუჯეტის დაგეგმარების განყოფილების უფროსი მარინე თედიაშვილი